დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2020 წლის 06 აგვისტოს N 02-09/113 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"

აცხადებს ღია კონკურსს ქართული ესტრადი თემაზე რადიოს შემეცნებითი-გასართობი გადაცემების

შესყიდვის მიზნით

შესაძენი პროდუქცია:

შემეცნებით-გასართობი გადაცემები ქართული ესტრადის თემაზე (გადაცემაში საუბარი იქნება თანამედროვე ქართული ესტრადაზე. წარმოდგენილი უნდა იყოს ქართული ალტერნატიული ესტრადის თვალსაცინო წარმომადგენლები, ასევე დამწყები, ახალბედა შემსრულებლები. აჟღერდება მათ მიერ შექმნილი ან შესრულებული ნაწარმოებები. გაშუქებული იქნება ქართულ მუსიკალურ ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, პრობლემები და მიღწევები) - 20 ერთეული.

განცხადებების მიღების დაწყების თარიღი : 06 აგვისტო 2020წ.

განცხადებების მიღების დასრულების თარიღი: 16 აგვისტო 2020წ.

პროექტის განხორციელების (სავარაუდო) პერიოდი: 01/09/2020 – 31/01/2021

დაფინანსების ოდენობა: 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით. (შესაძლებელია უფრო დაბალი ღირებულების შემოთავაზება)

ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია 2020 წლის დეკემბერში, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 20 დეკემბრისა წინასწარი ანგარიშსწორების მიზნით წარმოადგინოს საბანკო გარანტია დარჩენილი მოსაწოდებელი გადაცემების შესაბამისი ღირებულების ოდენობით.

ძირითადი მოთხოვნები:

ა) ა)სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის (გიორგი კოხრეიძეს) სახელზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

ბ) განმცხადებელს მოეთხოვება მსგავსი თემატიკის გადაცემების შექმნასა და მომზადებაზე მუშაობის გამოცდილება. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ მომზადებული გადაცემის სულ მცირე 3 ვარიანტი (ელექტრონული ფორმით).

გ) განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გადაცემის სულ მცირე 10 თემა თავისი სცენარით.

დ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ე)დაფინანსების ოდენობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (იხ.დანართი)

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ მოსაწოდებელი გადაცემები და რუბრიკები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს.

ა) მომზადებული გადაცემის თემატიკა უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს. არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ და ღირსების შემლახავ ელემენტებს. უნდა იცავდეს ეთიკურ სტანდარტებს

ბ) მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შეფუთული სრულად (ანონსი, ქუდი, ტიხარი, ფონი) შეფუთვა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მიმღებთან.

გ) გადაცემის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 15 წუთზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 45 წუთს.

დ) მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შექმნილი კონკრეტული კონკურსისთვის. უნდა იყოს ექსკლუზიური და აკმაყოფილებდეს რადიოს სტანდარტებს:

1. ამბავი (სიუჟეტის თემა) უნდა იყოს მაქსილამურად გასაგები და ლიტერატურულად გამართული ენით მოთხრობილი.

2. სიუჟეტში (გადაცემაში) გადმოცემული მოვლენა უნდა იყოს ამომწურავი რადიომსმენელისთვის. ის, რასაც ტელეეთერში მიმდინარე მოვლენის ასაღწერად კადრის მეშვეობით ასახავენ უნდა გადმოსცეს (მოგვითხროს) ჟურნალისტმა (ან რესპოდენტმა)

3. დასახელებული უნდა იყოს ყველა რესპოდენტი, ადგილი, მოქმედება, გამოყენებული სიმღერის ან მუსიკალური ნაწარმოების ავტორი ან შემსრულებელი (გამონაკლისს წარმოადგენს შეფუთვისთვის გამოყენებული აუდიო მასალა).

ე) კონკურსანტს შეუძლია მოამზადოს განსხვავებული თემატიკის ერთი ან ორი გადაცემა.

ვ) გადაცემის ქრონომეტრაჟის ნახევარზე მეტი უნდა შეადგენდეს ტექსტს (ისტორია, ინტერვიუ, მოსაზრება, კვლევა) დანარჩენი ნაწილი (აუცილებლობის შემთხვევაში) უნდა შეავსოს მუსიკამ.

მოწოდებულ პროდუქტზე განსაკუთრებული საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“

კონკურსში მონაწილე/გამარჯვებული იძლევა გარანტიას მასზედ, რომ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოდგენილი პროდუქციის გამოყენებისათვის მესამე პირ(ებ)ისგან წაყენებული პრეტენზიების/მოთხოვნების თაობაზე პასუხისმგებელი იქნება თავად და ასევე შემსყიდველს არ დაეკისრება საავტორო (და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) ჰონორართან დაკავშირებული რაიმე ფინანსური ვალდებულება - დაკისრების შემთხვევში კი კონკურსში გამარჯვებული აუნაზღაურებს შემსყიდველს მიყენებულ ზიანს და დაკისრებულ თანხას იდენტური ოდენობით.

ვალდებულება:

მომწოდებელი ვალდებულია მოამზადოს და მოაწოდოს გადაცემები დამკვეთს წინმსწრებად:

ერთი კალენდარული თვის მანძილზე უნდა მომზადდეს მინიმუმ 4 გადაცემა, ერთი კალენდარული კვირის განმავლობაში არანაკლებს 1 გადაცემა.

ფორმატი: mp3

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა;

გ) განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;

დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასება პროექტების შეფასება და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა;

ე) ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებულთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

შენიშვნა:

კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის N02-03/14 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესით/დებულებით (გამოქვეყნებულია http://ajaratv.ge);

საკონტაქტო პირი:

დავით ტრაპაიძე , ტელ: 593 322 305

"დამტკიცებულია"

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს 2020 წლის 16 ივლისის N02-03/20 ბრძანებით

ორგანიზაციის დასახელება

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

პროექტის დასახელება

N	ხარჯების კატეგორია	1 ეტაპი	2 ეტაპი		სულ
1	წარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურება	0,00	0,00	0,00	0,00
1.1.					0,00
1.2.					0,00
1.3.					0,00
2	ადმინისტრაციული ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00
2.1.	დამქირავებლის მიერ გადასახდელი დაგროვებითი პენსიის 2%				0,00
2.2.					0,00
3. მთლიანი დანახარჯები		0,00	0,00	0,00	0,00
4. დღგ		0,00	0,00	0,00	0,00
5. სულ ჯამი		0,00	0,00	0,00	0,00

შენიშვნა:

1) მე-4 პუნქტი ივსება დღგ-ს გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში

2) ხარჯების კატეგორიაში და დაფინანსების ეტაპების საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ შესაბამისი გრაფა

ხელმძღვანელი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შევსების თარიღი